

ფინანსური შინაგანაწესი

I – შესავალი

კავკასიის ფრანგულ სკოლაში, როგორც საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების დაწესებულებაში, სწავლა ფასიანია ნებისმიერი მოსწავლისათვის. სკოლის მოსწავლისთვის გათვალისწინებული სხვადასხვა ხარჯი არის შემდეგი:

- პირველადი რეგისტრაციის და ხელახალი რეგისტრაციის საფასური
- სწავლის ქირა
- კვების საფასური
- გამოცდების საფასური
- კლასგარეშე აქტივობები (კლუბები, საშინაო დავალებები...)
- სასკოლო მოგზაურობები

თითოეული ტარიფის ოდენობა განისაზღვრება ყოველწლიურად დაწესებულების მმართველი კომიტეტისა და საზღვარგარეთ ფრანგული სწავლების სააგენტოს მიერ, კავკასიის ფრანგული სკოლის დაწესებულების საბჭოსთან შეთანხმებით.

აღნიშნული ტარიფები განისაზღვრება სკოლის საფეხურების გათვალისწინებით (საბავშვო ბაღი, დაწყებითი სკოლა, კოლეჯი და ლიცეუმი).

ფინანსური შინაგანაწესის ნახვა შესაძლებელია დაწესებულების საიტზე და ქვეყნდება ყოველ წელს. ფინანსური შინაგანაწესი ოჯახებს გადაეცემა ბავშვის პირველადი რეგისტრაციისას. ამ შინაგანაწესს ოჯახი ეცნობა და ეთანხმება ბავშვის სკოლაში ჩაწერის მომენტიდან.

II - პირველადი და ხელახალი რეგისტრაცია

1) პირველადი რეგისტრაცია:

პირველადი რეგისტრაციის თანხის დაფარვა ხორციელდება ბავშვის კავკასიის ფრანგულ სკოლაში პირველადი რეგისტრაციისას ან სკოლიდან ამორიცხული ბავშვის (ცნობა სკოლიდან ამორიცხვის შესახებ) უკან დაბრუნებისას. მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი ხანი სწავლობდა ბავშვი კავკასიის ფრანგულ სკოლაში.

პირველადი რეგისტრაციის თანხა არ ანაზღაურდება და მისი წინასწარი გადახდა აუცილებელი პირობაა ბავშვის კლასში რეგისტრაციისთვის.

2) ხელახალი რეგისტრაცია:

ხელახალი რეგისტრაცია ხდება ყოველ მომდევნო წელს, ხოლო თანხა იფარება მომდევნო წლის 1-ლი ტრიმესტრის სწავლის ქირასთან ერთად. პირველადი რეგისტრაციის და ხელახალი რეგისტრაციის თანხების ერთად გადახდა არ ხდება.

3) დაზღვევა

მოსწავლეების სადაზღვევო პრემია (უბედური შემთხვევის სამოქალაქო და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, უბედური შემთხვევის დამატებითი გარანტია, დახმარება, ფსიქოლოგიური დახმარება) შედის პირველადი და ხელახალი რეგისტრაციის საფასურში.

III -სწავლის ქირა

სწავლის ქირაში შედის: სწავლების ხარჯები და ფრანგული სახელმძღვანელოები. ეს ხარჯები განუყოფელია და არ ექვემდებარება დაკლებას.

1) ხარჯთაღრიცხვა :

სწავლის ქირის ოდენობა განისაზღვრება ყოველ სასწავლო წელს და მისი დაფარვა ხდება ტრიმესტრულად შემდეგი პროპორციით:

სწავლის ქირის 40% იფარება 1-ლ ტრიმესტრში; 30%- მე-2 ტრიმესტრში და 30% -მე-3 ტრიმესტრში.

2) გადახდის პრინციპი:

ყოველი დაწყებული ტრიმესტრის საფასური უნდა დაიფაროს სრულად.

ოჯახები, რომლებიც პირადი მოტივით ტრიმესტრის მსვლელობისას ტოვებენ სკოლას, ვალდებული არიან სრულად დაფარონ ტრიმესტრის საფასური.

3) გაცდენები

დროებითი გაცდენა, მისი ხანგრძლივობის მიუხედავად, არ იძლევა სწავლის ქირის შემცირების არანაირ საფუძველს.

IV - გადახდის პერიოდულობა

სწავლის ქირისა და თანდართული ხარჯების დაფარვა უნდა მოხდეს შემდეგი პერიოდულობით:

- რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციისას:
 - რეგისტრაციის ან ხელახალი რეგისტრაციის ხარჯები.
 - 1-ლი ტრიმესტრის სწავლის ქირა (წლიური საფასურის 40%).
- სასწავლო წლის სექტემბერში:
 - 1-ლი ტრიმესტრის სკოლის გარეშე აქტივობების სავარაუდო ხარჯები.
 - სხვა ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- მიმდინარე სასწავლო წლის იანვარში:
 - მე-2 ტრიმესტრის სწავლის ქირა (წლიური საფასურის 30%).
 - მე-2 ტრიმესტრის სკოლის გარეშე აქტივობების სავარაუდო ხარჯები.
 - სხვა ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- მიმდინარე სასწავლო წლის აპრილში :
 - მე-3 ტრიმესტრის სწავლის ქირა (წლიური საფასურის 30%)
 - მე-3 ტრიმესტრის სკოლის გარეშე აქტივობების სავარაუდო ხარჯები
 - გამოცდების ხარჯები
 - სხვა ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში

სასკოლო მოგზაურობები იფარება იმ ტრიმესტრში, რომელშიც მოგზაურობა განხორციელდა. ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს მიმდინარე სასწავლო წლისა. იგი შეიძლება დაიფაროს ტრიმესტრულ გადასახადთან ერთად ან ცალკე.

V - გამოცდების საფასური

ამ საფასურში შესაძლოა შედიოდეს:

- ჩაწერის ხარჯები
- ტრანსპორტირების ხარჯები
- ცხოვრების ხარჯები
- ვიზის საფასური

VI – სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება დაეკისროს ოჯახებს:

- სასკოლო მოგზაურობის ხარჯები.
- კლასგარეშე აქტივობების ხარჯები (კლუბები, საშინაო დავალებები...).
- სასკოლო ინვენტარის დაზიანებისას ან დაკარგვისას ზარალის ასანაზღაურებელი ან ახლის საყიდელი თანხა.
- წიგნის ან ჟურნალის დაზიანებისას ან დაკარგვისას ახლის შესაძენი თანხის დაკისრება. სკოლის მიერ ინვოისის გამოწერის შემდეგ თანხა უკან აღარ დაბრუნდება, აღნიშნული წიგნის ან ჟურნალის შეკეთების ან პოვნის შემთხვევაშიც კი.
- კარადის გასაღების დაკარგვის შემთხვევაში ზარალის ასანაზღაურებელი თანხა.
- მიმოწერის დღიურის დაკარგვის შემთხვევაში დაკისრებული თანხა: მეორე და მომდევნო დღიურების თანხა დაეკისრება ოჯახს.

VII- ოჯახების გაფრთხილება და გადახდის პირობები

ოჯახები პირადად არიან ანგარიშვალდებულნი, გადაიხადონ სწავლის ქირა და შესაძლო დამატებითი ხარჯები. როდესაც სწავლის ქირას და სავარაუდო დამატებით ხარჯებს უზრუნველყოფენ ოჯახების დამქირავებლები, ოჯახებმა დროულად უნდა დაფარონ ინვოისები.

სწავლის ქირისა და სხვა ხარჯების ინვოისები ოჯახებს ეგზავნება ფოსტით ან ელექტრონული ფოსტით ოჯახების მიერ ფინანსური ანგარიშვალდებულების დოკუმენტზე მითითებულ მისამართზე.

ინვოისში თანხა მითითებულია ევროში.

სწავლის ქირა პირდაპირ უნდა დაირიცხოს კავკასიის ფრანგული სკოლის ანგარიშებზე ევროში (უცხოეთიდან გადმორიცხვის შემთხვევაში) ან ლარში (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი მიმდინარე დღის სავალუტო კურსით).

სწავლის ქირის თანხა არის ხელზე ასაღები თანხა, რომელშიც არ შედის საბანკო მომსახურების ხარჯები. კავკასიის ფრანგული სკოლა არ არის პასუხისმგებელი საბანკო ოპერაციებით გამოწვეულ შეცდომებზე, ან კურსის ცვლილებით გამოწვეულ სხვაობაზე, ეს ხარჯები მხოლოდ ოჯახების მიერ ანაზღაურდება.

ვალუტის გადაცვლის და/ან გადარიცხვის სავარაუდო ხარჯებიც მხოლოდ გადამხდელის მიერ ანაზღაურდება.

სკოლის საბანკო რეკვიზიტები :

ევროს ანგარიშით თუ საბანკო გადარიცხვა ხორციელდება უცხოეთიდან

